

სამეცნიერო საქმიანობის
მხარდაჭერის მექანიზმები

თბილისი



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები

1. სამეცნიერო საქმიანობის მიზნები, განმახორციელებული სუბიექტები და ხელშემწყობი სტრუქტურები
- 1.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები გამომდინარეობს გთუნის სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგიის ძირითადი მიზნებიდან, რაც გულისხმობს:
 - გთუნის სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას და ხარისხის ამაღლებას;
 - გთუნის სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით;
 - აკადემიური პერსონალის მოტივირებას სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად და ამ საქმიანობის შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში;
 - კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენას, მოტივირებას და მხარდაჭერას;
 - აკადემიური-პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;
 - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, ეფექტურობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენებას გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;
 - საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში ეტაპობრივ ინტეგრაციას;
 - გთუნის ინტელექტუალური პოტენციალის კომერციალიზაციის პირობების შექმნას;
 - სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას ფინანსური რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და მიზნობრივი გამოყენებით, რაც გულისხმობს დასახული მიზნების მიღწევას დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში.
- 1.2. გთუნის სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტებია ფაკულტეტები, როგორც სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, პროგრამული მიმართულებები და აფილირებული აკადემიური პერსონალი.
- 1.3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის კვლევების ხელშეწყობის ცენტრი, რომლის საქმიანობის ხელშეწყობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელი არიან შემდეგი ორგანიზაციული სტრუქტურები:
 - მმართველი საბჭო
 - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია
 - ფაკულტეტები
 - ბიბლიოთეკა
 - უნივერსიტეტის ყველა სხვა სტრუქტურული ერთეული.

1.4. გთუნის ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს:

- დაგეგმილი კვლევების ჩატარებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში;
- სამეცნიერო კვლევების განვითარების მიზნით შესაბამისი კონტაქტების დამყარებაში;
- სამართლებრივი საკითხების, საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარდგენის საკითხებში და უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას;
- მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებაში;
- გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებასა და ანგარიშების წარდგენის პროცესში (ტექნიკური დახმარება).

2. სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის კონკრეტული ღონისძიებები

2.1. სტრატეგიის ძირითადი მიზნებიდან, გამომდინარე, რაც გთუნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას და ხარისხის ამაღლებას გულისხმობს, გთუნის განსაზღვრული აქვს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

2.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება და დაგეგმილია შემდეგი წყაროებიდან:

- გთუნის ბიუჯეტიდან;
- ფაკულტეტის ხარჯვის ლიმიტიდან;
- სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან საგრანტო საპროექტო ფონდებიდან;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდებიდან;
- პერსონალის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამეცნიერო კვლევისათვის განკუთვნილი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაზე დადებული ხელშეკრულების ფარგლებში;
- შიდა სამეცნიერო გრანტით.

2.3. ფინანსური მხარდაჭერა მოიცავს შემდეგი აქტივობებს:

N	მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები	რესურსი
1.	მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მომზადება	გთუნის შიდა გრანტით სრული დაფინანსება
2.	სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, კონფერენციის მასალების გამოცემა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
3.	გთუნის პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებაზე მუშაობა	ადმინისტრაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა
4.	მონოგრაფიის მომზადება-გამოცემა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება
5.	კოლექტიური მონოგრაფიის მომზადება-გამოცემა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება
6.	სახელმძღვანელოს მომზადება-გამოცემა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება
7.	სამეცნიერო შრომათა კრებულის მომზადება-გამოცემა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება

8.	სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალში	გთუნის ბიუჯეტიდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება
9.	სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება საზღვარგარეთ (პრიორიტეტულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში)	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
10.	სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება სამეცნიერო შრომათა კრებულში	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
11.	სასწავლო-მეთოდური ნაშრომის მომზადება	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
12.	სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის მომზადება	გთუნის ბიუჯეტიდან ნაწილობრივი დაფინანსება
13.	ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
14.	რეგიონულ და/ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში (სიმპოზიუმში, სემინარში) მონაწილეობა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება
15.	სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
16.	სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობა, მ.შ, საზღვარგარეთ	გთუნის ბიუჯეტიდან სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება
17.	45 დღე ანაზღაურებადი „აკადემიური შვებულება“ აკადემიური პერსონალის თვითგანვითარებისთვის	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
18.	სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება და კონფერენციის მასალების დაბეჭდვა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
19.	სტუდენტების მონაწილეობა ეროვნულ სამეცნიერო (სტუდენტურ) ღონისძიებებში	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება
20.	საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა	თანადაფინანსება
21.	პროფესიულ ქსელებსა და ასოციაციებში გაწევრიანების ხელშეწყობა	გთუნის ბიუჯეტიდან სრული დაფინანსება

2.4. ნებისმიერი ზემოთ მოცემული აქტივობის დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით გადაწყვეტს მმართველი საბჭო, რომელიც დაეყრდნობა აქტივობის მნიშვნელობას გთუნისთვის, თემატიკის შესაბამისობას ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებთან, და ცალკეულ შემთხვევაში, მასში მაგისტრანტებისა და ბაკალავრების მონაწილეობას.

3. მიზნობრივი სამეცნიერო- კვლევითი პროექტების შიდა საგრანტო დაფინანსება

3.1. გთუნში 2019 წლიდან ამოქმედდა მიზნობრივი სამეცნიერო- კვლევითი პროექტების შიდა საგრანტო დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებში ფაკულტეტების წარმომადგენლებს წელიწადში ერთხელ შეუძლიათ წარმოადგინონ სამეცნიერო კვლევითი პროექტები და კონკურსის საფუძველზე კვლევის განსახორციელებლად დაფინანსება მოითხოვონ. წარდგენილ პროექტებს განიხილავს საკონკურსო კომისია, თითოეული წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში მოთხოვნილი თანხა შეადგენს 3 000-5000 ლარს.

3.2. პროექტის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს გთუნის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებს და აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს მასში სტუდენტების, პირველ რიგში მაგისტრანტების, მონაწილეობას.

3.3. სპეციალურად შექმნილი კომისია წარმოდგენილ პროექტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კვლევის აქტუალობა და სიახლე;
 - რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი პროექტის მიზნები;
 - განსახორციელებელი ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და მდგრადობა;
 - რამდენად უზრუნველყოფს პროექტში ჩართული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაცია პროექტით დასახული კვლევის ეფექტიანად წარმართვას;
 - რამდენად ოპტიმალურად არის პროექტში დაგეგმილი დრო, ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების გამოყენება;
4. სამეცნიერო საქმიანობის ადმინისტრაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა
- 4.1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობას, დაფინანსების მოძიების, მონაცემების შეკრებისა და ანალიზის განხორციელების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებისა და შედეგების გამოქვეყნების სამეცნიერო ეთიკური ნორმების დაცვის კუთხით.
- 4.2. მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის მიმართულებების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.
- 4.3. ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით გთუნი ცდილობს პარტნიორების მოძიებას და საერთაშორისო და საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად კვლევით საქმიანობაში ჩართვას.
- 4.4. სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ადმინისტრირებასა და კოორდინირებაში უნივერსიტეტის მონაწილეობის პირობა არის პროექტში აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის სახელით ჩართულობა.
5. სამეცნიერო საქმიანობის ინფორმაციული მხარდაჭერა
- 5.1. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალისა ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე, კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე, ასევე აკადემიური საზოგადოების ინფორმირებისთვის, უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შედეგებზე.
- 5.2. კვლევების განვითარების სამსახური მიაწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს უტარებს კონსულტაციებს და ეხმარება სასურველი გრანტის მოძიებაში.
- 5.3. აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობისა და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ჩართულობის მიზნით გთუნიში დაგეგმილია ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე:
- სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაწერა
 - როგორ ვმართოთ სამეცნიერო გრანტი
 - სამეცნიერო აკადემიური უნარები
- 5.4. გთუნის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით გთუნი იზრუნებს მისი გამოცემების ხარისხის და სანდოობის ამაღლებაზე; შემდგომ ნაბიჯად კი განიხილავს მათ ინდექსირებადობაზე მსოფლიო სამეცნიერო გამოცემების ბაზაში.

6. აკადემიური პატიოსნება და პლაგიატთან ბრძოლა

6.1. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, იყოს მის ფარგლებში ან მისი სახელით ჩატარებული საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში აკადემიური პატიოსნების დაცვის გარანტი, ასევე გამოავლინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევაზე, გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, დანერგოს აკადემიური პატიოსნების დარღვევისა და ამ დარღვევებზე დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები, ასევე, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს პლაგიატისა და მისი რეციდივის შემთხვევაში.

6.2. 2019-2020 სასწავლო წლიდან პლაგიატზე შემოწმებას გაივლის გთუნის ბაზაზე შექმნილი/თარგმნილი ნებისმიერი ნაშრომი.